ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №591902

ნომერი: AR1115759

თარიღი : 13.03.2013

გაცემის თარიღი : 15.03.2013

გაცნობის თარიღი : 19.03.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 106 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბიშოი ვასსეფ კოზმან მოუსა --- პ/ნ 01191001122
- თბილისი კ.მარჯანიშვილის ქ. N 16 ბ. 28

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად დავით აღმაშენებლის გამზირის N106–ში მდებარე შენობას მინიჭებული აქვს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები საჭიროებს უძრავ ძეგლზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებაზე ნებართვას. ვინაიდან თქვენს მიერ განაცხადის რეგისტრაციისას არასწორად იქნა შერჩეული I კლასის განაცხადის ტიპი, სამსახურის მიერ შესწორებული იქნა თქვენი განაცხადის ნომენკლატურა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა, საჭიროა თქვენს მიერ შევსებული იქნეს სამსახურის მიერ განსაზღვრული ნომენკლატურის შესაბამისი განაცხადის ფორმა და ატვირთული იქნეს აუცილებელი დოკუმენტაცია.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge